გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ

1) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

ა) პროექტის მიღების მიზეზი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციონირებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას წარმოადგენს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის V ცვლილების პროექტის შემუშავებას საფუძვლად დაედო „საქართველოს კონსტიტუცია“ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ გადასახდელებისა და მოსაკრებლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობა, აგრეთვე მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტი.

ბ) პროექტის მიზანი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის V ცვლილების ფინანსური ნუსხის დამტკიცება;

გ) პროექტის ძირითადი არსი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გადასახდელების ნუსხის დამტკიცება.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით ბიუჯეტის ცვლილების პროექტი წარმოდგენილია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანების შესაბამისად ბიუჯეტის პროექტი მომზადებულია პროგრამული ფორმატით.

ძირითადი მაჩვენებლები

მიზანშეწინილია და საჭირო გახდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების განხორციელება, კერძოდ, შეიცვალა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულება, შესაბამისად ცვლილებები განხორციელდა 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესაბამის პროგრამულ კოდებზე. დაკორექტირდა სხვადასხვა პროგრამები

საბიუჯეტო სახსრების ნაწილშიც, თუმცა გადასახდელების ზრდა ან შემცირება არ განხორციელებულა.

კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგი

2022 წლის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მე-5 ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 131846,5 ათას ლარს. (კონკრეტული ცვლილებების ნუსხა თან ერთვის)

2) პროექტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

3) წარმოდგენილი პროექტი მოწონებული იქნა ქალაქის აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

4 პროექტის ავტორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური.

5) პროექტის ინიციატორია **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი